# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/145 "4" აგვისტო 2021 წ.

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

**სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2021 წლის 27 ივლისის №06-6907 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. წერილში აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შენობის მესამე სართულზე მოსამართლეთათვის სამუშაო პირობების შექმნის მიზნით სამი ოთახის რეაბილიტაცია, მოქალაქეთა და სასამართლოში დასაქმებულ პირთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველსაყოფად მოქალაქეთა მომსახურების ცენტრსა და სასამართლოს ძირითადი შენობის მთავარი შესასვლელის კიბეებზე ალუმინის მოაჯირების მოწყობა, ასევე მოქალაქეთა მომსახურების ცენტრისა და სასამართლოს ძირითადი შენობის შეერთების ადგილზე თუნუქის ფურცლით გადახურვის მოწყობა. გარდა ამისა, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ საერთო სასამართლოების დეპარტამენტისაგან მოითხოვა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეების რაოდენობის გაზრდის მიზნით შენობის მესამე სართულზე ოთახების გადატიხვრა და შესაბამისი სარემონტო სამუშაოების ჩატარება, შენობის მეორე სართულზე მოქალაქეთა მისაღებსა და კანცელარიის სივრცეს შორის დაბალი ბარიერის მოწყობა, ასევე საბადრაგოში არსებული პორტატული ამორტიზებული სკამების ნაცვლად სტაციონარული ბეტონის სკამების დამონტაჟება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ზემოაღნიშნული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი